

როცა მია გავიცანი, ზაფხული იყო, უფრო ზუსტად, აგვისტო იწურებოდა. ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. ხშირად ვფიქრობ, რა იქნებოდა იმ დაწყვეტილ დღეს რომ არ გადავყროდი?! ვითომ, რამეს შეცვლიდა?! მias ეკლესიაში გამოველაპარაკე. ღრმად მორწმუნე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ იმ დღეს დედამ ძალიან მთხოვა, სანამ წახვალ, ვილოცოთო. ეს მთელი გულით უნდოდა, ამიტომ უარი აღარ მითქვამს. ჩემი არც ისე რელიგიური ხასიათის მიუხედავად, ეკლესიები ყოველთვის მამშვიდებდა, შეიძლება, ბავშვობის მოგონებების გამო - მაშინ მთელი ოჯახი მივდიოდით იქ და შუალამის დადგომისას შობის სიმღერებს ვმღეროდით. ეკლესიაში მias გვერდით მომიწია ჯდომა და ერთადერთი, რის გამოც ზურგი არ ვაქციე, როგორც სხვა შემთხვევაში მოვიქცეოდი, ის იყო, რაც არც მანამდე და არც მის მერე არავისზე მინახავს - ცრემლები მოსდიოდა, შეუჩერებლად. კი არ ქვითინებდა, არა. თვალები დახუჭული ჰქონდა, სახე - დამშვიდებული, ლოცვას უსმენდა, მდინარე კი ლოყებზე შეუჩერებლად მოდიოდა. ეტყობოდა, რომ ასე პირველად არ ხდებოდა, ერთხელაც არ შერხეულა.

წირვის დასრულების შემდეგ, ეზოში გამოსულმა შევნიშნე. ეწეოდა, მეც ვეწეოდი. მივუახლოვდი.

- რატომ ტიროდი? - ჩემთვის უჩვეულო გამბედაობით ვკითხე. გაკვირვებულმა შემომხედა, მერე გაეცინა.
- არ მეგონა, თუ ვინმე მაკვირდებოდა, - გულწრფელად მითხრა, - და არა, არ ვტირი. უბრალოდ, ცრემლები მდის, მხოლოდ მაშინ, როცა ეკლესიაში ვარ. შეიძლება, საკმევლის ან სანთლების სუნზე მაქვს რეაქცია, მაგრამ მაინც, ღრმად მჯერა, რომ იმ ტკივილისგანაა, რომელშიც საკუთარ თავსაც არ ვუტყდები.

ძალიან მკრთალი კანი და თხელი სხეული ჰქონდა. ცნობისმოყვარედ მათვალაიერებდა.

- ჰო, მართლა მე მია ვარ და ერთდერთი, რაც გჭირდება ჩემზე იცოდე, ისაა, რომ ვაპირებ მარადიულად ვიცოცხლო.

ჩვენი დიალოგი კიდევ უფრო უცნაური ხდებოდა. მისთვის ჩემი სახელი არ მითქვამს, არც პასუხი დამიბრუნებია, მაგრამ აგრძელებდა:

- არც ცხოვრება მომწონს დიდად, მაგრამ ის მაინც ვიცი, რას უნდა ველოდო. მეშინია სიკვდილის. - ასეთმა გულწრფელობამ, თანაც უცნობისგან, ძალიან გამაკვირვა. მთას საშინლად ეშინოდა, რომ ყველაფერი, რაც ჰქონდა, ხელიდან გამოეცლებოდა. მგონი, სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც ეკლესიაში დადიოდა - შვებას ეძებდა, ისევე, როგორც ჩვენ, ყველა.
- მე მაინტერესებს რა იქნება მერე, მგონი, ველოდები კიდევ იმ დროს. - მეც ის ვუთხარი, რაც პირველად მომივიდა აზრად. ცოტა დაეჭვებულმა ცალი წარბი ასწია, მერე გამიღიმა და თვალი მომარიდა, მეტი არაფერი უთქვამს.

კვირაობით ეკლესიაში დავიწყე სიარული. გახარებულ დედას ეგონა, რომ როგორც იქნა, მორწმუნე გავხდი. სულ ტყუილად. მთა ყოველთვის იქ მხვდებოდა. სახლში მისული, ხშირად მთელი კვირის განმავლობაში ვფიქრობდი იმაზე, რაც წინა შეხვედრისას მითხრა. ერთხელაც ვუთხარი:

- მომწერე ხოლმე. - ეს ისე უცებ წამოვროშე, თვითონაც ვერ მოვასწარი გამეაზრებინა.
- რა? - ვერც ის მიმხვდარიყო, რა ვთქვი.
- მომწერე, როცა სიკვდილის შეგეშინდება, - ავუხსენი. არ მასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ ამ დღეს მუდმივად ელოდა, მარტო, სასოწარკვეთილი, სიბნელეში მჯდარი და ლამის კედლებს მისწყდომოდა, - ყოველთვის მოვისმენ. - დავამატე, რათა დარწმუნებულიყო, რომ ამას ვალდებულების გრძნობის გამო არ ვამბობდი, ზუსტად იმას ვგულისხმობდი, რაც ვთქვი.
- მადლობა. - ესღა ჩაიჩურჩულა, მაგრამ ვატყობდი, რომ უხაროდა, თანაც ძალიან.

დაკრძალვები არასოდეს მყვარებია. ჩემს ბავშვობაში თანატოლებს ვილაცის სიკვდილი ახარებდათ, რადგან ახალი გასართობი გამოუჩნდათ. ამ დროს ყველა მათგანი მძულდა. ეკლესიის მიტოვებულ კუთხეში ვდგებოდი და გარდაცვლილს თვალს ვერ ვუსწორებდი. მეშინოდა, რომ მეც მომკლავდა.

როცა მია მოკვდა, ზამთარი იყო, უფრო ზუსტად, თებერვალი. თბილად არ ჩამიცვამს. კარადიდან წლების წინ ნაყიდი შავი კაბა გადმოვიღე, პალტო მოვისხი და ფეხით წავედი იმ ეკლესიაში, სადაც ყოველთვის ვხვდებოდით. ამდენი ხნის შემდეგ დაკრძალვას პირველად ვესწრებოდი. ეზოში რომ შევედი, ჩვენი პირველი დიალოგი გამახსენდა და ლამის საკუთარ თავს დავცინე. რომ შევედი, ყველამ ინტერესით დამიწყო ცქერა და გაუცნობიერებლად, ეკლესიის მიტოვებულ კუთხეს გავხედე. ვიღაც ბავშვი იმალებოდა. საკურთხეველს მივუახლოვდი და გავშეშდი, არა იმიტომ, რომ მკვდარს ვხედავდი, არა იმის გამო, რომ ყველაფერი საშინლად მახსენებდა ბავშვობას, არამედ, იმიტომ, რომ მია არ ტიროდა, ეკლესიაში იყო, მაგრამ სახეზე ერთი ცრემლიც არ ჰქონდა და მაშინ მივხვდი, რომ ნამდვილად მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდა. სწრაფად გამოვფხიზლდი, ჩანთიდან პატარა ბარათი ამოვიღე და მიას გულზე ფრთხილად დავადე. იქ სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა. ის ხომ მარადიულად იცოცხლდებოდა, ამიტომ მეც ამავე დროით უნდა ვყოლოდი.

- მია, მომწერე თუ ოდესმე სიკვდილის შეგეშინდება. მშვიდობით.